GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 388
თარიღი: 10 11 2017 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს პარლამენტის

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მისი დამტკიცების დღიდან, 2015 წლის 30 დეკემბრიდან - დღემდე რამდენჯერ იყო პარლამენტში მისული?
   - გთხოვთ, მოგვწეროთ დეტალური თარიღები, როდესაც გიორგი კვირიკაშვილი პარლამენტის სხდომას დაესწრო. ასევე, ცალკე გამოყოთ სამთავრობო პროგრამის წარდგენასთან დაკავშირებით პრემიერ მინისტრის პარლამენტში ვიზიტის შემთხვევები.
2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, "პარლამენტს უფლება აქვს, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედისა, მიიღოს გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრის მოწვევის, განსახილველი საკითხისა და პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის თარიღის შესახებ, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით და დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს."
   - 2015 წლის 30 დეკემბრიდან - დღემდე რამდენჯერ მოხდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება და ამ ფორმით პრემიერ-მინისტრის მოწვევა პლენალურ სხდომაზე?
   - მათგან, აღნიშნული მუხლის საფუძველზე რამდენ შემთხვევაში დაესწრო პრემიერი პარლამენტის პლენარულ სხდომას?

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორი

ააიპ საქართველოს რეფორმების ასოციაცია GRASS 406077579 NNLE Georgia's Reforms Associates

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი:
ელენე მჭედლიშვილი

ტელ: 598 290 058
e-mail: emche14@freeuni.edu.ge